EDEC
განათლების განვითარების
და დასაქმების ცენტრი

მისამართი:
ქ. ქუთაისი, 4600,
ინგოროყვას ქ. №64
ტელ.: (0431) 25 13 30
ელ. ფოსტა: info@edec.ge
www.edec.ge

განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი

განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს დაარსებიდან დღემდე საქართველოს მასშტაბით განხორციელებული აქვს 60-ზე მეტი პროექტი ეკონომიკური განვითარების, სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, განათლებისა და ბავშვთა დაცვის მიმართულებებით, რომლითაც 24,630-ზე მეტმა პირმა ისარგებლა.

ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს მთავრობასთან, ბიზნეს სექტორსა და მედიასთან, რათა გააუმჯობესოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გააქტიუროს თემის ჩართულობა, ხელი შეუწყოს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებასა და საქართველოში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების შექმნას.

კერძო, საჯარო თუ საერთაშორისო სტრუქტურებთან ნაყოფიერი თანამშრომლობით, გამჭვირვალე საკადრო პოლიტიკით, ინოვაციური მიდგომებითა და წარმატებით განხორციელებული პროექტებით, ორგანიზაცია ქვეყნის მასშტაბით საიმედო პარტნიორის იმიჯით სარგებლობს.

სარჩევი

1 შესავალი
4 გამგეობის თავმჯდომარის მიმართვა
6 პროგრამული მიმართულებები
8 აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა
10 ჩვენი გუნდი

გვერდები 12-25 ეკონომიკური განვითარება

14 მნიშვნელოვანი მიღწევები
18 სოციალური ზეგავლენა
20 განხორციელებული/მიმდინარე პროექტები:
- **20** „ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის - ახალგაზრდების განათლების, დასაქმებისა და ჩართულობის ხელშეწყობა საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში“ (2018-2020);
- **21** „სწავლა, წვრთნა, მიღწევა და კავშირების დამყარება დასაქმებისთვის! (ისწავლე დასაქმებისთვის!)“ (2021-2023);
- **22** „დევნილთა უფლებების დაცვა COVID-19 კრიზისის დროს საქართველოში“;
- **23** „დასაქმება, მხარდაჭერა, კონსულტირება შრომის ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“ (2020–2023);
- **24** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა (2021).

გვერდები 26-41 სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

28 მნიშვნელოვანი მიღწევები
33 სოციალური ზეგავლენა
36 განხორციელებული/მიმდინარე პროექტები:
- **36** „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ (2017-2020);
- **37** „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ (2021-2025);
- **38** „თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის“ (2018-2021);
- **39** „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა“ (2015-2021);
- **40** სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“ (2018-2021).

გვერდები 42-51 ბავშვთა დაცვა

44 მნიშვნელოვანი მიღწევები
46 სოციალური ზეგავლენა
48 განხორციელებული/მიმდინარე პროექტები:
- **48** სენსორული თერაპიის დანერგვა საგურამოს, სამტრედიისა და ქუთაისის დღის ცენტრებში;
- **50** საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და პირთა ოთხი დღის ცენტრის ხელახალი გახსნა კორონავირუსთან დაკავშირებული სავალდებულო დახურვის შემდეგ (2020–2021);

51 მარიკას ამბავი

გვერდები 52-60 EDUCATION

54 მნიშვნელოვანი მიღწევები
55 სოციალური ზეგავლენა
56 განხორციელებული/მიმდინარე პროექტები:
- **56** „ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად - CISI“ (2019-2021);
- **57** „ჩემი სახლის მმართველი – პერსპექტივების გაზიარება“ (2020-2021). „ჩემი სახლის მმართველი – შესაძლებლობები ნდობის მშენებლობისთვის“ (2021-2022).

58 დებატების სკოლა.

„მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა ეკონომიკური განვითარების მიმართულებით“

ბანათლების განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის გასული ორი წელი, პანდემიური პერიოდის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ინსტიტუციური განვითარების წლები იყო. კერძოდ: გაუმჯობესდა ორგანიზაციის მართვის პოლიტიკა; განახლდა ფინანსური და ადმინისტრაციული პოლისები და პროცედურები; შეიქმნა და დაინერგა ბავშვთა დაცვის პოლისები და პროცედურები, სამუშაო ეთიკის კოდექსი, ღონისძიებებისა და საველე მუშაობის რეგულაციები; გაიზარდა ორგანიზაციის გუნდი და დღეისათვის ის 62 თანამშრომლით არის დაკომპლექტებული; გაფართოვდა საქმიანობების მასშტაბი და ორგანიზაციის პროექტები უკვე საქართველოს ათ რეგიონში ხორციელდება. წარმომადგენლობითი ოფისები გაიხსნა ქალაქ გორსა და ზუგდიდში; მნიშვნელოვნად გაიზარდა ორგანიზაციის თანამშრომელთა კვალიფიკაცია მოწყვლად ჯგუფებთან პროფესიული განათლების, დასაქმების და თვითდასაქმების საკითხებზე მუშაობის მიმართულებით; ჩვენი მენეჯმენტი უფრო მეტად დაუახლოვდა საერთაშორისო დონეზე აღიარებულ მართვის თანამედროვე სტანდარტებს; განვავითარეთ თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან; განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრმა ხელი

მოაწერა საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძირითადი პრინციპების დეკლარაციას და გაიზიარა ამ პრინციპების დაცვის ვალდებულება.

გასული ორი წელი საინტერესო იყო ახალი პროექტების განხორციელების თვალსაზრისითაც. ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით დუალური პროფესიული განათლების დანერგვის მიმართულებით. ევროკავშირთან და სხვადასხვა საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობით, განვახორციელეთ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშემწყობი პროგრამები, პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებს საშუალება მივეცით დაუფლებოდნენ შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებს და დასაქმებულიყვნენ ამავე მიმართულებით.

ასევე, მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. დაარსდა სამეწარმეო სკოლები ქალაქ ზუგდიდსა და გორში, სადაც მეწარმეობით დაინტერესებულმა ახალგაზრდებმა ცოდნისა და გამოცდილების შეძენასთან ერთად, თავიანთ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ბიზნეს კონსულტაციებით, კვალიფიციური მენტორებისა და ქოუჩების მომსახურებით ისარგებლეს.

გასული ორი წლის პროექტები ასევე ემსახურებოდა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

მოხალისეობრივი კულტურის განვითარების მიზნით, შეიქმნა ციფრული პლატფორმა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით, მოხალისეობით დაინტერესებულ ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს და მათ მიერ მოხალისეობრივად დახარჯული დროის აღრიცხვის შესაძლებლობას აძლევს. პლატფორმის მოდელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების – ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის, საფრანგეთისა და ესპანეთის გამოცდილებას ეფუძნება.

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ ახალგაზრდებისთვის შევქმნათ ინოვაციური პროგრამები, რომლებიც დაეხმარებათ, გახდნენ უფრო თავდაჯერებულები და ადვილად დაიმკვიდრონ თავი საზოგადოებაში. მუშაობის დროს კი არასოდეს ვივიწყებთ მთავარს, რომ ჩვენი მიზანი იმ ადამიანების წარმატებაა, ვისაც ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ საკუთარი უფლებების შესახებ თითოეული მოქალაქის ინფორმირებულობის ზრდას, განათლებას, ცნობიერების დონის ამაღლებას და ამ უფლებების რეალიზაციისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. თავის დროზე სწორედ ამ პრინციპებით შეიქმნა და დღემდე ფუნქციონირებს ჩვენ მიერ დაარსებული დღის ცენტრები ქუთაისში, სამტრედიაში, თერჯოლასა და საგურამოში, სადაც შექმნილია ჯანსაღი გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და პირთა განათლებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის გუნდის სახელით მადლობას ვუხდი ჩვენს პროგრამებში ჩართულ ყველა პირს, პარტნიორ თუ დონორ ორგანიზაციას, რომელთა მხარდაჭერით ვქმნით და ვახორციელებთ საზოგადოებისთვის საინტერესო, მრავალფეროვან და სასარგებლო პროექტებს.

პატივისცემით,
ლიკა კილაძე

EDEC-ის 4 პროგრამული მიმართულება და საქმიანობის არეალი:



1. ეკონომიკური განვითარება

ეკონომიკური განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არაერთი პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავს სამრეწველო მიმართულების მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებასა და თვითდასაქმების პროცესების ხელშეწყობას, მოქალაქეთა მიერ საკუთარი შრომის ხარჯზე ღირსეული საარსებო პირობების შექმნის მხარდაჭერას და თვითკმარი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ზრუნვას.

2. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის და მასშტაბის პროექტები ხორციელდება, რომლებიც ხელს უწყობს საქართველოში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ლიბერალური ღირებულებების დანერგვას, სამოქალაქო აქტივიზმის, თითოეული ინდივიდის თავისუფლების, დამოუკიდებლობის, თანასწორობის და მოქალაქეობრივი თვითშეგნების გაძლიერებას.

3. განათლება

განათლების პროგრამების მიზანია ადგილობრივი შრომის ღია ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ფორმალური, არაფორმალური, პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობით. საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების და მათ შორის ორგანიზაციების საჭიროებებზეა მორგებული და დაინტერესებულ პირებს კომპეტენციაზე დაფუძნებულ და ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენებაზე ორიენტირებულ სწავლებას სთავაზობს.

4. ბავშვთა დაცვა

ბავშვთა დაცვის პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მზრუნველობამოკლებული ბავშვების უფლებების დაცვა და საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა. სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი ადმინისტრირებას უწევს ქუთაისის, სამტრედიის, თერჯოლის და საგურამოს დღის ცენტრებს.

„დაფუძნდა ენისა და მეტყველების თერაპიის ცენტრები ქუთაისსა და ზუგდიდში“

2020-2021 წლები განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის წარმატებული იყო. პროექტებით დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებას აფერხებდა პანდემიის პრევენციისათვის ქვეყანაში არსებული შეზღუდვები, რომელთა საპასუხოდ მყისიერად ვახორციელებდით ცვლილებებს და ვიღებდით გადაწყვეტილებებს. არ იყო ექსპერიმენტებისა და შეცდომებზე სწავლის დრო, ჩვენ უკან უამრავი ბენეფიციარის საჭიროება, დონორის წინაშე აღებული პასუხისმგებლობა და ორგანიზაციული რეპუტაცია იდგა.

სხვადასხვა დონორის მხარდაჭერით 13 პროექტი განხორციელდა. სხვადასხვა პარტნიორთან გაფორმდა 10 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი განათლების, დასაქმების, ბავშვთა დაცვისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მიმართულებით..

ორგანიზაცია ქუთაისში, გორსა და ზუგდიდში ფლობს 5 რეგიონულ ოფისს, სადაც ბენეფიციარებს სხვადასხვა სერვისებს აწვდის. EDEC-ი ადმინისტრირებას უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და პირთა 4 დღის ცენტრს, რომელიც ქუთაისის, სამტრედიის, თერჯოლისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში მდებარეობს. ორგანიზაციის ინიციატივით შექმნილი 2 სოციალური საწარმო „ფარშავანგი“ და „იალონი“ განაგრძობს საქმიანობას ქუთაისსა და საგურამოში. დაფუძნდა ენისა და მეტყველების თერაპიის ცენტრები ქუთაისსა და ზუგდიდში. განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის მიერ ქუთაისში დაარსებული საჯარო გამოსვლებისა და დებატების სკოლა წარმატებით აგრძელებს ახალგაზრდების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებას.

„ორგანიზაციაში დასაქმებულია 62 ადამიანი (48 ქალი და 14 მამაკაცი). გუნდი მუდმივად იზრდება და ვითარდება“

ორგანიზაციაში დასაქმებულია 62 ადამიანი (48 ქალი და 14 მამაკაცი). გუნდი მუდმივად იზრდება და ვითარდება.

ახალი ინფრასტრუქტურული და ტექნიკური სტანდარტების დანერგვისათვის ორგანიზაციაში გაძლიერდა და გაახლდა კომპიუტერული ბაზა, შევიძინეთ მრავალპორტიანი საბუღალტრო პროგრამა (ORIS), გაიმართა ლოკალური ქსელი და შეიქმნა ციფრული არქივი, აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო. თანამშრომელთა ცოდნისა და უნარების გაძლიერებისათვის ჩატარდა ტრენინგები თემებზე: ციფრული პლატფორმების Microsoft Office 365, OneDrive, Microsoft Teems, Zoom გამოყენება, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, ადმინისტრაციული დებულებები და პროცედურები, ინსტრუქციები საველე მუშაობისა და ღონისძიებების ორგანიზებისათვის, საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, ბავშვთა დაცვის პოლიტიკა, ქცევის კოდექსი.

მადლობას ვუხდი განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის გუნდს 2020-2021 წლებში განხორციელებული საქმიანობისათვის.

მჯერა, მომავალ წლებშიც აქტიურად განვაგრძობთ წარმატებულ საქმიანობას.

პატივისცემით,
ნათია ნამიჭეიშვილი

ეკონომიკური განვითარება

„EDEC-ის გუნდი დღემდე აქტიურად მიდგას მხარში. მათთან ერთად მომზადდა „ფოშ ბარის“ ბიზნესგეგმა. ყველაზე დიდი მხარდაჭერა ჩემთვის, როგორც დამწყები მეწარმისთვის, პროფესიონალი მენტორის დახმარება გახლდათ.“

სოფიო ნოზაძე, „სამეწარმეო სკოლის“ მონაწილე შიდა ქართლიდან

30-მა ახალგაზრდამ განავითარა ან წამოიწყო ბიზნესი

პროგრამის მიზნები:

- მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა;
- ღირსეული საარსებო პირობების შექმნის მხარდაჭერა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება;
- თვითკმარი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა.

კარიერული განვითარების და დასაქმების სერვისები

2241 საათი კონსულტირება

93 საათი CV ტრენინგი და გასაუბრების ტექნიკა

2095 საათი პროფილირება

5144 საათი პროფესიული ტრენინგები

ბენეფიციარები

2081-მა სამუშაოს მაძიებელმა ისარგებლა დასაქმების ცენტრების მომსახურებით საქართველოს 6 რეგიონში

300 პირი ჩაერთო დუალური განათლების პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებში

73 რეფერირდა დასაქმების სახელმწიფო პროექტებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში

308 ადამიანმა გაიარა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა

388 სამუშაოს მაძიებელი დასაქმდა

დასაქმების სფეროები







20,4% მოწყვლადი ჯგუფები

მოწყვლადი ჯგუფები



1 **"კრეატორიუმი"** მარიამ წიქარაძე და ნინო მაზმიშვილი

2 **"ცვილი"** სოფიო ბუნტური

3 **"ჩემი ჩირი"** ზუმრუხტ სარქისიანი

4 **"ბარნოვი"** რუსუდან ბარნოვი

5 **"ნია თრეველი"** ნია დოლიაშვილი

6 **"MALU"** თამარ ბუქულაშვილი

7 **"ციცისგან"** ციცინო შენგელია

8 **"ჯავარი"** ნათია მუშუქია

9 **"MATO Handmade"** გვანცა გოგოძე

10 **"ირდა"** ირინა ყორშია

11 **"რა ვაჩუქო"** მიხეილ ჩხოლარია

12 **"MALO Handmade"** გიგა გუდაბანძე, მალო კოტუა

13 **"ალმე"** ალექსანდრე ესებუა

მეწარმეთა B2B ფორუმის შედეგები

ბიზნეს პარტნიორები



შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად შემუშავდა და დაინერგა 23 პროფესიული განათლების პროგრამა, რომლებიც დუალური განათლების მიდგომით ხორციელდება. აღნიშნული პროგრამები მნიშვნელოვნად ზრდის ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობებს სამუშაოს მაძიებლებისთვის.

ქუთაისში, ამბროლაურში, ბათუმში, ოზურგეთში, გორსა და თელავში შეიქმნა დასაქმების ცენტრები, რომლებიც იმერეთის, შიდა ქართლის, გურიის, აჭარის, კახეთის და რაჭა–ლეჩხუმი – ქვემო სვანეთის რეგიონებში მცხოვრებ სამუშაოს მაძიებლებს კარიერული კონსულტირებისა და დასაქმების სერვისებს უფასოდ აწვდის.

იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ახალგაზრდა ქალებისთვის სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების მიზნით, შიდა ქართლსა და სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონებში, ჩატარდა უფასო ტრენინგები და კონსულტაციები მიკრო და მცირე ბიზნესის მართვის საკითხებზე. შედეგად რეგიონებში შექმნა 3 ახალი საწარმო და გაძლიერდა 2 მოქმედი ბიზნესი.

ქუთაისში შეიქმნა დასაქმების ცენტრი, რომელიც ქუთაისში მცხოვრებ სამუშაოს მაძიებელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მარტოხელა დედებსა და ძალადობის მსხვერპლ პირებს კარიერული კონსულტირებისა და დასაქმების ხელშეწყობის უფასო სერვისებს აწვდის.

გამოწვევები და საპასუხო ქმედებები

2020-2021 წლებში განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრმა გახსნა სამეწარმეო სკოლები, დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები, განახორციელა პროფესიული განათლების პროგრამები, კარიერული განვითარების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო სერვისები, რომლებიც ემსახურებოდა:

- ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ამ პროცესის შემაფერხებელ მიზეზებთან ბრძოლაში წვლილის შეტანას;
- ახალგაზრდებისთვის განათლების, დასაქმების და მეწარმეობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით განათლებიდან შრომის ბაზარზე გადანაცვლების ეფექტიანი სერვისის დანერგვასა და განვითარებას;
- შრომის ღია ბაზარზე ნაკლებად კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის გააქტიურებას;
- შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრას.

ევროკავშირი
საქართველოსთვის

პროექტი: „ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის - ახალგაზრდების განათლების, დასაქმებისა და ჩართულობის ხელშეწყობა საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში“ (2018-2020)

DANISH REFUGEE COUNCIL

DANISH DEMINING GROUP

Mariupol Youth Union

მიზანი:
იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ახალგაზრდების საარსებო წყაროების გაძლიერება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა; ასევე, განათლების, დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობებში მათი ჩართვის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროფესიულ სასწავლებლებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობით, დუალური მიდგომით შემუშავდა და განხორციელდა 19 პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა, რომელშიც 300 იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ახალგაზრდა ჩაერთო. კურსდამთავრებულთაგან 134 წარმატებით დასაქმდა ადგილობრივ კომპანიებში.

ახალგაზრდების სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვის მიზნით, პროექტის დასაწყისშივე ძირითადი ყურადღება გამახვილდა დამწყები მეწარმეებისათვის ცოდნისა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებაზე. სამეგრელოსა და შიდა ქართლში დაარსდა სამეწარმეო სკოლები, სადაც 84-მა ახალგაზრდამ ბიზნესის ადმინისტრირების, პროდუქტის განვითარების, ფინანსური, მარკეტინგული და სამართლებრივი მართვის შესახებ საფუძვლიანი ცოდნა მიიღო. 30-მა კურსდამთავრებულმა წამოიწყო ან განავითარა ბიზნესსაქმიანობა. მოგვიანებით კი ამავე მეწარმეებს დახმარება გაეწიათ ფინანსური რესურსების მოზიდვასა და პოტენციურ პარტნიორებთან კავშირების დამყარებაში.

ევროკავშირი
საქართველოსთვის

პროექტი: „სწავლა, წვრთნა, მიღწევა და კავშირების დამყარება დასაქმებისთვის! (ისწავლე დასაქმებისთვის!)“ (2021-2023)

მიზანი:
განათლებიდან შრომის ბაზარზე ეფექტური გარდამავალი მოდელის პოპულარიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმების შედეგების მიღწევას, სოციალურ ინტეგრაციას და სიღარიბისა და მოწყვლადობის დონის შემცირებას.

საქართველოს ექვს რეგიონში: იმერეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში, აჭარაში, შიდა ქართლსა და კახეთში შეიქმნა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები, რომლებიც სამუშაოს მაძიებლებს კარიერული განვითარების და დასაქმების სერვისებს სთავაზობენ. 2021 წლის ბოლოსთვის, დასაქმების ცენტრების სერვისებით 1813-მა სამუშაოს მაძიებელმა ისარგებლა. 316 სამუშაოს მაძიებელი დასაქმდა, 130-მა პირმა გაიარა სტაჟირება, 146 ადამიანი ჩაერთო პროფესიულ პროგრამაში და 55 სამუშაოს მაძიებელს ჩაუტარდა საკვანძო კომპეტენციების ტრენინგი.

სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის და მედიის აქტიური ჩართულობით, აჭარაში, შიდა ქართლსა და იმერეთში გაიმართა 3 მასშტაბური დასაქმების ფორუმი, რომელშიც ასობით სამუშაოს მაძიებელმა მიიღო მონაწილეობა. ფორუმებზე 125-მა მცირე, საშუალო და მსხვილმა ბიზნეს კომპანიამ 373 ვაკანსია და 1438 აქტიური სამუშაო ადგილი წარმოადგინა.

პროექტი 2023 წლის ბოლომდე გაგრძელდება.

პროექტი: „დევნილთა უფლებების დაცვა COVID-19 კრიზისის დროს საქართველოში“

მიზანი:
ახალგაზრდების საჭიროებებზე რეაგირება და მათი ჩართულობის ხელშეწყობა COVID-19–თ გამოწვეული კრიზისის საპასუხო აქტივობების განვითარება-განხორციელებაში; ასევე, საზღვრისპირა სოფლების მიმდებარედ მცხოვრები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ახალგაზრდა ქალების სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება.

იმერეთის, სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონებში მცხოვრები 30 ახალგაზრდა ჩაერთო საგანმანათლებლო საქმიანობებში. მათ თანატოლგანმანათლებელთა 21 დღიანი ონლაინ ტრენინგი გაიარეს და ცოდნა მიიღეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები და მათი დაცვა; COVID-19 ვირუსის გავრცელების პრევენცია სასწავლო დაწესებულებებში; ოჯახური ძალადობა; მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და მშვიდობის მშენებლობა. მოეწყო 5 ინსპირაციული შეხვედრა ცნობილ, წარმატებულ ადამიანებთან: ალერგოლოგ-იმუნოლოგ ბიძინა კულუმბეგოვთან, იურისტ გიორგი მშვენიერაძესთან და ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსთან რუსუდან გოცირიძესთან.

მიღებული ცოდნა თანატოლგანმანათლებლებმა სამიზნე რეგიონებში, საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და დევნილთა დასახლებებში მცხოვრებ 632 ახალგაზრდას გაუზიარეს.

44-მა ახალგაზრდა ქალმა გაიარა ტრენინგი მიკრო და მცირე ბიზნესის მართვის საკითხებზე სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების მიზნით. 12-მა მათგანმა ბიზნესსაქმიანობების განვითარების მხარდამჭერი მენტორობისა და კონსულტაციის სერვისებითაც ისარგებლა. შედეგად, რეგიონებში შეიქმნა 3 ახალი საწარმო და გაძლიერდა 2 მოქმედი ბიზნესი.

ევროკავშირი საქართველოსთვის

პროექტი: „დასაქმება, მხარდაჭერა, კონსულტირება შრომის ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“ (2020–2023)

მიზანი:
მიზანი შრომისუნარიანობისა და დასაქმების ხელშეწყობა თბილისსა და იმერეთის, აჭარის, კახეთის, ქვემო ქართლის სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონებში.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა დასაქმების ხელშეწყობის სამი ცენტრი - ორი თბილისში და ერთი- ქუთაისში. ცენტრების მიზანია მხარდაჭერა გაუწიოს იმ ჯგუფებს, ვისაც უძნელდება დასაქმების გზაზე არსებული დაბრკოლებების დამოუკიდებლად გადალახვა.

ცენტრების მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ მარტოხელა მშობლებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ოჯახური ძალადობის მსხვერპლ პირებს, პენსიონერებს, ადამიანებს სულ მცირე სამწლიანი კარიერული წყვეტით ან მათ, ვისაც საერთოდ არ აქვთ სამუშაო და სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება. დასაქმების კვალიფიცირებული კონსულტანტები ბენეფიციარებს სთავაზობენ კარიერის ინდივიდუალურ დაგეგმვას, პროფესიულ გადამზადებას, სტაჟირებას და ხელს უწყობენ მათ დასაქმებას.

პროექტის ფარგლებში ქუთაისის დასაქმების ხელშეწყობის ცენტრს 48 სამუშაოს მაძიებელმა მიმართა და 4 ადამიანი დასაქმდა.

პროექტი 2023 წლის ნოემბრამდე გაგრძელდება.

პროექტი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა“ (2021)

მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა მათ ინდივიდუალურ უნარებზე მორგებული პროფესიული სასწავლო კურსის შეთავაზებით.

პროექტის ფარგლებში, აჭარაში მცხოვრებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი სერვისებით ისარგებლეს.

განხორციელდა დასაქმების მსურველი 22 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შრომითი უნარების ინდივიდუალური შეფასება. ასევე, 13 დამსაქმებელი გამოიკითხა აჭარის რეგიონში პროგრამით მოსარგებლე პირთა უნარებსა და საჭიროებებზე მორგებული პროფესიების შესარჩევად.

აღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე, შეიქმნა 5 პროფესიული პროგრამა, რომელიც მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკული კურსს (200 საათი) და სუბსიდირებად სტაჟირებას / საწარმოო პრაქტიკას (120 საათი). პროფესიულ პროგრამებში 8 შშმ პირი ჩაერთო, ხოლო 6 მათგანი დასაქმდა.

პროექტის ფარგლებში 4 ბიზნესკომპანიასთან შედგა თანამშრომლობა.

„სამეწარმეო სკოლაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება გარდამტეხი აღმოჩნდა ჩემი ბიზნესისთვის. მოვამზადე ბიზნესგეგმა და მოვიპოვე „აწარმოე საქართველოს“ გრანტი. მიღებული თანხა დამეხმარა პროდუქციის ასორტიმენტისა და წარმოების მოცულობის გაზრდაში. ვატარებ მასტერკლასებს სახელოსნოში. სამომავლოდ წარმოების კიდევ უფრო გაფართოებას ვგეგმავ. ძალიან მინდა აქ მცხოვრებ ქალებს ჩემი ხელობა ვასწავლო და დავასაქმო.“

რუსუდან ბარნოვი, შიდა ქართლის „სამეწარმეო სკოლის“ კურსდამთავრებული

„პროექტში მონაწილეობა მოტივაციას გვიზრდიდა, რომ საკუთარი ბიზნესი დაგვეწყო. მივიღეთ თეორიული ცოდნა და გამოვიმუშავეთ პრაქტიკული უნარები, რამაც მეტი თავდაჯერებულობა შეგვძინა. კურსის დასრულების შემდეგ, წამოვიწყეთ საერთო ბიზნესი – გავხსენით ვეტერინარული კლინიკა და ზოოაფთიაქი. საჩუქრად გადმოგვეცა სამედიცინო გინეკოლოგიური და ქირურგიული იარაღები, რაც ძალიან დაგვეხმარა ჩვენი ბიზნესის განვითარებაში“

გურამ ხოდელი და ნონა კერესელიძე, ვეტერინარ-ტექნიკოსის დუალური პროგრამის კურსდამთავრებულები

„უკვე ექვს თვეზე მეტია, რაც სასტუმრო „საირმეში“ HR მენეჯერის ასისტენტის პოზიციაზე ვმუშაობ. პანდემიის პირობებში ძალიან გართულდა სამსახურის მოძიება. სწორედ ამიტომ მივმართე დასაქმების ცენტრს და კონსულტანტების დახმარებით ვიპოვე სასურველი სამსახური. ჩემი აზრით, ძალიან საჭირო და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ დასაქმების ცენტრები როგორც სამუშაოს მაძიებლებისთვის, ისე დამსაქმებლებისთვის. ამჟამად ცენტრთან ვთანამშრომლობ, როგორც დამსაქმებელი. ვმონაწილეობთ დასაქმების ფორუმებში და ვიცით, რომ საჭირო კადრების მოძიებაში შეგვიძლია EDEC-ის დასაქმების ცენტრის იმედი გვქონდეს.“

ანა ბენდელიანი, ქუთაისის დასაქმების ცენტრის ბენეფიციარი

ეფექტიანი სამოქალაქო განვითარება

„EDEC-მა დამაკავშირა ბავშვებთან, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ არა მხოლოდ მასწავლებელი, არამედ მეგობარიც, რომელიც სამყაროს გარშემო ამოგზაურებს. მჯერა, რომ ყველა ადამიანში დევს განსაკუთრებული ნიჭი, რომელსაც პოვნა და გაღვივება უნდა.“

ფიქრია ბერიშვილი, შშმ ბავშვთა
და პირთა დღის ცენტრების მოხალისე
პედაგოგი ამბროლაურიდან

პროგრამის მიზნები:

- ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება;
- საზოგადოებაში ლიბერალური ღირებულებების დანერგვა;
- თითოეული ინდივიდის თავისუფლების, დამოუკიდებლობის, თანასწორობის და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება.

1093
ახალგაზრდა
ჩაერთო მოხალისეობრივ და სამოქალაქო აქტივობებში

ღონისძიებები სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების და სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობისთვის

380 საათი ტრენინგი

180 საათი დისკუსია

124 საათი დებატები

223 საათი სამუშაო შეხვედრა

108 საათი საჯარო ლექცია

66 საათი აქცია

250 საათი საინფორმაციო კამპანია



7717 ბენეფიციარი

4012 ახალგაზრდა ჩაერთო ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობის, დისკრიმინაციასთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლის მიზნით გამართულ ღონისძიებებში

1093 ახალგაზრდა ჩაერთო სამოქალაქო და მოხალისეობრივ აქტივობებში

731 მოსწავლე ჩაერთო სამოქალაქო კლუბების საქმიანობაში

1881 ახალგაზრდა ჩაერთო აქტიური მოქალაქეობის თემაზე გამართულ საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებებში



ასაკი, %





მცირე გრანტები მოხალისეობრივი ინიციატივების მხარდასაჭერად

1 „მოდი, ერთად დავპLAGოთ სვანეთი!“

მესტიის მუნიციპალიტეტის „ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) **12 თანამშრომლისთვის** ჩატარდა ტრენინგი თემაზე „გარემოს დაცვა და უსაფრთხოება“.

14 ნაგვის ურნა დაიდგა ნაკრას, მულახის, წვირმის, კალას, იფარის, ხაიშის და ლენჯერის თემებში, საინფორმაციო ბანერები დამონტაჟდა ნაკრას, მულახის, წვირმის, კალას, იფარის თემებში.

50 პირის მონაწილეობით დასუფთავების აქციები მოეწყო ზემო სვანეთის ხუთ თემში: ნაკრა, მულახი, წვირმი, კალა და იფარი.

2 „ბორჯომის მოხალისე მეხანძრეები – მოხალისეობის პოპულარიზაციისთვის ახალგაზრდებში“

23 მოხალისეს ჩაუტარდა ტრენინგი მოხალისეობის ფორმებისა და მნიშვნელობის თემაზე. მიღებული ცოდნა მოხალისეებმა ბორჯომის 2 საჯარო სკოლის (III და IV სკოლა) უფროსი კლასის **50 მოსწავლეს გაუზიარეს.**

დასუფთავების აქცია მოეწყო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე და ქვაბისხევის ხეობაში.

შეძენილ იქნა 409 პირბადე და **44 ცალი ხელის სადეზინფექციო საშუალება**, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და უფასო სასადილოს **44 ბენეფიციარს გადაეცა.**

3 „ჟინვალი XC ADVENTURE 2020“

დუშეთის მუნიციპალიტეტში საინიციატივო ჯგუფმა “კავკასიის ველოქსელი“ მოაწყო ველოშეჯიბრი, რომელშიც **76 ადამიანი,** მათ შორის **29 მოხალისე** და **47 ველო მოყვარული ჩაერთო.**

ველო შეჯიბრის სამ-სამი გამარჯვებული გამოვლინდა როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა კატეგორიაში. გამარჯვებულებს გადაეცათ სერტიფიკატები და მედლები, ასევე სპონსორების მიერ დაწესებული საჩუქრები და პრიზები.

4 „ბლოგერები ზემო რაჭიდან“

საინიციატივო ჯგუფის „ბლოგერები ზემო რაჭიდან“ ორგანიზებით, ჩატარდა საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრები თემაზე: „ახალი ცოდნისა და უნარების შეძენა მულტიმედია საშუალებების გამოყენებით“, რომელსაც 15-დან 18 წლამდე **9 ახალგაზრდა დაესწრო.**

მიღებული ცოდნის საფუძველზე მოსწავლეებმა დაამუშავეს 9 სცენარი, შექმნეს **6 ვიდეო** და **2 ანიმაცია.** ასევე შეიქმნა მოკლე ვიდეო ინსტრუქციები ამბის თხრობის ტექნიკებზე, მარტივი ვებ-გვერდების შექმნისა და მართვის თემაზე, რათა პროექტში ჩართულ მონაწილეებს დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა ჰქონოდათ. პროექტმა ახალგაზრდებს შესაძლებლობა მისცა აღმოეჩინათ თვითგამოხატვის ახალი საშუალებები, განსაკუთრებით არასეზონურ პერიოდში და კოვიდის დროს, როცა სოციალური ინკლუზიის ნაკლებობა იგრძნობა მთებში; დაფიქრებულიყვნენ იმ საკითხებზე, რაც მათ საკუთარ გარემოში აწუხებდათ; ესწავლათ პრობლემების ანალიზი და სხვადასხვა კრეატიული საშუალებებით პრობლემის შესახებ ამბის სწორად გადმოცემა.

5 „სკოლის რეინჯერები COVID-19-ის პრევენციისთვის“

ასოციაციამ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, სურსათის ეროვნულ საგენტოსთან თანაშრომლობით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის **20 საჯარო სკოლის 20 თანამშრომლისთვის,** „კოვიდრეინჯერის“ მოსამზადებელ კურსს გაუწია ორგანიზება.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის წესების შესახებ მიღებული ცოდნა „კოვიდრეინჯერებმა“ თავიანთი სკოლების **642 წარმომადგენელს,** კერძოდ, პედაგოგებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს გაუზიარეს.

ოცივე სამიზნე სკოლაში შეიქმნა კუთხე, სადაც განთავსდა საინფორმაციო დაფა კოვიდ-19-ის პრევენციის ღონისძიებების შესახებ

6 „STEM მენტორები მოსწავლე გოგონების გაძლიერებისთვის“

მიღებული ცოდნის საფუძველზე, გოგონებმა მენტორობა გაუწიეს ხაშურისა და ქარელის სკოლების IX-XI კლასების მოსწავლე **41 გოგონას.**

ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში, საინიციატივო ჯგუფმა „HASS For STEM“ **11 სტუდენტ გოგონას** მენტორობის პროგრამა შესთავაზა, რომლის ფარგლებშიც ისინი კვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით მენტორობის უნარებს დაეუფლნენ STEM დარგებში **(2 მათემატიკაში, 2 ბიოლოგიაში, 2 ინჟინერიაში, 2 პროგრამირებაში, 2 ქიმიასა** და **1 ფიზიკაში).**

მოხალისეობის კულტურის პოპულარიზაცია მულტიმედიის საშუალებით



LIVE ინტერაქტიული თამაში
„რა? სად? როდის?“

5
კინოსაღამო „მოხალისეობის კვირეული“

მონაწილეობა TV გადაცემაში
„უპასუხე საქართველოს“

3
ანიმაცია

2
სახელმძღვანელო

დოკ. ფილმი
„მოხალისეობა საქართველოში“

9
საერთაშორისო სამოქალაქო ორგანიზაცია

284
სკოლა და უნივერსიტეტი

26
სახელმწიფო დაწესებულება

16
ბიზნეს კომპანია (მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი)

481
ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაცია (CSOs).

მოხალისეობის თემაზე ხელმისაწვდომია ციფრული და ბექდური რესურსები (დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები, სახელმძღვანელოები), რომლებიც საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციას აწვდის მოხალისეობის არსის, მისი ფორმების და მოხალისეობის ქართული და საერთაშორისო წარმატებული მაგალითების შესახებ. რესურსები ხელმისაწვდომია 138 სკოლაში, 16 უნივერსიტეტში, 11 ბიბლიოთეკაში, ასევე წიგნების ონლაინ პლატფორმაზე.



საქართველოს ათ რეგიონში ფუნქციონირებს ჰაბ-ორგანიზაციები, რომლებიც მხარს უჭერენ სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციურ გაძლიერებას და საზოგადოების გააქტიურებას.



სამოქალაქო და სათემო ორგანიზაციების 42 წარმომადგენელი, მათ შორის მენეჯერები, პროექტების/პროგრამების ხელმძღვანელები და ორგანიზაციაში მოხალისეების მიღების, შერჩევისა და მართვის პროცესში ჩართული სხვა დაინტერესებული პირები, აღჭურვილნი არიან მოხალისეობრივი ღონისძიებების მართვის, ახალგაზრდების ორგანიზაციის საქმიანობებში ჩართვის, მუშაობის შეფასების, მენტორობის და მონიტორინგის შესახებ კომპეტენტური ინფორმაციითა და უნარებით.

ქუთაისში შექმნილია ახალგაზრდული ცენტრი, სადაც 16-დან 25 წლამდე 104 ახალგაზრდა იღებს ინფორმაციას და ცოდნას გენდერული თანასწორობის/ქალების ჩართულობის, ადამიანის უფლებების დაცვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის და დაცვის საკითხებზე.

იმერეთის რეგიონის 30 სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს სამოქალაქო კლუბები, რომლებიც მასში გაწევრიანებულ 731 მოსწავლეს სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაში ეხმარება. საკლუბო ინიციატივების განხორციელებით კლუბის წევრები საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლებით აგვარებენ სასკოლო და სათემო პრობლემებს.

გამოწვევები და საპასუხო ქმედებები

2020-2021 წლებში განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრმა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამის ფარგლებში, განახორციელა პროექტები, რომლებიც ემსახურებოდა:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინსტიტუციურ განვითარებას, საქართველოს 10 რეგიონში ჩამოყალიბებული ჰაბ-ორგანიზაციების გაძლიერებით;
- სკოლებში სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ხარისხის ამაღლებას, ერთი მხრივ სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, მშობლებისთვის, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისთვის მიზნობრივი საგანმანათლებლო აქტივობების შეთავაზებით; ხოლო მეორე მხრივ, მცირე გრანტების, ახალგაზრდული ინიციატივებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით, რომლებიც უზრუნველყოფს გაკვეთილის გადატანას საკლასო ოთახიდან ღია და თავისუფალ სივრცეში;
- ახალგაზრდებში ტოლერანტობის, თანასწორობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის, აქტიური მოქალაქეობისა და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას ახალგაზრდული ცენტრების, სამოქალაქო კლუბების, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო ბეჭდური და ციფრული რესურსების შექმნით;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდებსა და საქართველოში მცხოვრებ ეთნოსებს შორის ინტეგრაციის გაძლიერებას ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სტერეოტიპების წინააღმდეგ ერთობლივი აქტიური მუშაობისა და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობით.

ევროკავშირი საქართველოსთვის

KONRAD ADENAUER STIFTUNG

პროექტი: „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ (2017-2020)

მიზანი:
სამოქალაქო საზოგადოებისათვის არსებული გარემოს გაუმჯობესება, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება, ბენეფიციართა მიმართ მათი ანგარიშვალდებულების გაზრდა და სხვა აქტორებთან კავშირების გაფართოება.

საქართველოს 10 რეგიონში მოეწყო 21 ფორუმი მოხალისეობის იდეის პოპულარიზაციის თემაზე. ფორუმები მოხალისეობით დაინტერესებულ პირებსა და მოხალისეთა მასპინძლობით დაინტერესებულ ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და პირდაპირი კავშირების დამყარების ხელშეწყობას ემსახურებოდა. ფორუმებში სულ 2778-მა მოხალისეობით დაინტერესებულმა პირმა და 451-მა სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. შედეგად, 289 დაინტერესებული პირი მონაწილე ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ მოხალისეობრივ საქმიანობებში ჩაერთო.

მოხალისეების მობილიზებისა და მართვის საკითხებზე 9-საათიან ონლაინ ტრენინგ-კურსს სამოქალაქო და სათემო ორგანიზაციების 42 წარმომადგენელი დაესწრო.

მოხალისეობისა და სამოქალაქო აქტივიზმის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართულ ინტერაქტიულ თამაშში „რა? სად? როდის?“ ქვეყნის მასშტაბით დაკომპლექტებული 10 გუნდი (60 პირი) ჩაერთო. ღონისძიებას 180 000-მდე პირმა უყურა რეგიონული ტელევიზიებისა და სოციალური მედიაარხების მეშვეობით.

მოხალისეობის კულტურის პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა სამი ანიმაციური და ერთი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი. ფილმები სოციალური მედიის საშუალებით 60 000-მდე ადამიანმა ნახა.

გამოიცა სახელმძღვანელოები მოხალისეობისა და დროის ბანკის – მოხალისეობის თანამედროვე ფორმის შესახებ და გავრცელდა სკოლებში, უნივერსიტეტში, ბიბლიოთეკაში და ონლაინ პლატფორმებზე.

ჩატარდა კონკურსები მოხალისეობის შესახებ საუკეთესო კვლევითი სტატიის ან ნარკვევის და 2020 წლის საუკეთესო მოხალისის გამოვლენის მიზნით. გამარჯვებულები დიპლომითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ.

გაიცა 6 მცირე გრანტი და განხორციელდა ინიციატივები მოხალისეობის იდეის პოპულარიზაციისთვის.

590-მა პირმა მიიღო მონაწილეობა მოხალისეობის კვირეულში, რომლის ფარგლებშიც ონლაინ ფორმატში მოეწყო კინო-ჩვენებები და დისკუსიები.

ევროკავშირი საქართველოსთვის

KONRAD ADENAUER STIFTUNG

პროექტი: „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ (2021-2025)

მიზანი:
სამოქალაქო საზოგადოების, როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორის, გაძლიერება მთელი საქართველოს მასშტაბით.

პროექტის განხორციელება 2021 წელს დაიწყო და 2025 წელს დასრულდება. მის ფარგლებში:

შეიქმნა ციფრული პლატფორმა (www.volunteer.ge), რომელიც მოხალისეობით დაინტერესებულ ადამიანებსა და ორგანიზაციებს ერთმანეთთან დააკავშირებს. პლატფორმა წარმოადგენს სივრცეს, რომელიც ხელს უწყობს ადამიანებს შორის ცოდნის, უნარების, გამოცდილებისა და რესურსების გაზიარებას ერთმანეთის დასახმარებლად.

ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარების, მათი როლისა და საჭიროებების შესახებ მკაფიო და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების, ეფექტიანი მიდგომებისა და მექანიზმების ფორმირების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტების მერიებთან არსებული ახალგაზრდული საბჭოების შექმნის, ან არსებული საბჭოების გაძლიერების მიმართულებით.

ევროკავშირი
საქართველოსთვის

პროექტი: „თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის“ (2018-2021)

მიზანი:
საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფა, მათი უფლებების დაცვა და პოზიტიური ცნობადობის გაზრდა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შესაძლებლობების განვითარებისა და Covid -19ის პანდემიის პირობებში წარმოქმნილი გამოწვევების განხილვის მიზნით, შედგა 15 ონლაინ შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატით, შშმ პირთა თემის წარმომადგენლების, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის 266 წარმომადგენლის მონაწილეობით.

მომზადდა და გავრცელდა საკონსულტაციო საბჭოს ეფექტიანი მუშაობის სახელმძღვანელო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნისა და ეფექტიანი მუშაობის გზამკვლევი“. სახელმძღვანელოს შექმნის მიზანია საქართველოს მუნიციპალიტეტებში გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ განხორციელების და კონვენციის განხორციელებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის ვალდებულებების ეფექტიან შესრულებაში მხარდაჭერა. გზამკვლევი 17 მუნიციპალიტეტის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციის, თემის და ადგილობრივი თვითმმართველობის 246 წარმომადგენელს მიეწოდა.

მოეწყო 2 ონლაინ შეხვედრა და დისკუსია განათლების სექტორში არსებული გამოწვევების განხილვისა და ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და პოლონელმა სკოლის მასწავლებლებმა და სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა.

ჩატარდა 5 ტრენინგი COVID-19 პანდემიის დროს ზოგადი განათლების სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ თემაზე „დისტანციური სწავლებისას არსებული გამოწვევების დაძლევის მეთოდები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას“, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების, მათი მშობლებისა და მასწავლებლების მხარდასაჭერად. ტრენინგებში 71 პედაგოგი და 40 მშობელი მონაწილეობდა.

პროექტი: „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა“ (2015-2021)

მიზანი:
ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა და არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერება, დისკრიმინაციასთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლა.

ქუთაისში დაფუძნებული ახალგაზრდული ცენტრის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები, გამოცხადდა გაცვლითი და მცირე გრანტების კონკურსები და მოეწყო სასწავლო ბანაკები.

2020-2021 წლებში ცენტრმა განახორციელა 153 ღონისძიება, რომელშიც 4012-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებების შინაარსი სამ ძირითად თემას ეხებოდა: **1.** გენდერული თანასწორობა/ქალების ჩართულობა; **2.** ადამიანის უფლებების დაცვა; **3.** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობა და დაცვა. ღონისძიებები მოიცავდა საინფორმაციო შეხვედრებს, დისკუსიებს, დებატებს, საჯარო ლექციებს, ტრენინგებს, სემინარებს, საინფორმაციო და ადვოკატირების კამპანიებს.

პროექტის ფარგლებში:

- ჩატარდა 38 საინფორმაციო კამპანია/ახალგაზრდა ელჩების პროგრამა, რომელშიც 1412-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა;
- 803 ახალგაზრდა დაესწრო უნარ-ჩვევების განვითარების ტრენინგებს;
- გაიმართა 12 დისკუსია, დებატები, საჯარო ლექცია, ვორკშოპი და სასწავლო ვიზიტი, რომელშიც 398 ადამიანი მონაწილეობდა;
- განხორციელდა 3 რეგიონთაშორისი გაცვლითი პროგრამა, რომელშიც 102 პირი ჩაერთო;
- 174 ახალგაზრდის ჩართულობით გაიმართა ადგილობრივი სათემო, მოხალისეობრივი და ცნობიერების ამაღლების 9 ღონისძიება;
- ფეისბუქ-პლატფორმის საშუალებით ჩატარდა კამპანიები, რომელიც მიეძღვნა შემდეგ საკითხებს: მედიაწიგნიერება, კრიტიკული აზროვნება, ტოლერანტობა, სამოქალაქო აქტივიზმი სოციალური მეწარმეობა, არჩევნები, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ახალგაზრდა ევროპელი ელჩები, საქართველო და ევროკავშირი, ქალთა პორტრეტები, კამპანია „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის“, COVID-19-ის გავრცელების პრევენცია, ვაქცინაცია და სახელმწიფოს მიერ დაწესებულ რეგულაციები.

პროექტი: სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“ (2018-2021)

USAID
PH International

მიზანი:

სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება, ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებაში, დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაში მხარდაჭერა და მათი მონაწილეობის ხელშეწყობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

პროგრამის ფარგლებში, იმერეთის რეგიონის მასშტაბით 30 საჯარო სკოლაში დაარსდა სამოქალაქო კლუბი, სადაც IX-XI კლასების 731 მოსწავლე გაწევრიანდა.

163 მოსწავლე და 63 პედაგოგი ჩაერთო დემოკრატიის, ნარჩენების მართვის, ძალადობისგან პრევენციის, უსაფრთხოების, აქტიური მოქალაქეობის, გარემოსდაცვის მიმართულებით განხორციელებულ მცირე საგრანტო პროექტებში.

ჩატარდა 5 ტრენინგი და 18 კონკურსი, გაიმართა 22 შეხვედრა კომპეტენტურ პირებთან, განხორციელდა 169 საკლასო პროექტი და 183 საკლუბო ინიციატივა, მიღწეულ იქნა 60 გადაწყვეტილება სხვადასხვა მხარეებთან თანამშრომლობით და 141 სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე განხორციელდა დამხმარე სახელმძღვანელოების მონიტორინგი.

მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ მოსწავლეებს მოტივაცია მისცა, სხვადასხვა სტრუქტურასთან თანამშრომლობით, თავად განეხორციელებინათ საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი საინფორმაციო აქციები, გამოფენები, პრეზენტაციები და სხვა ღონისძიებები.

„პროექტში მიღებული გამოცდილება დაუვიწყარია. პროექტმა შემძინა გამოცდილება და რწმენა საკუთარი თავის მიმართ, რომ შემიძლია უკეთესობისკენ შევცვალო როგორც საკუთარი, ისე სხვების ცხოვრება. მომეცა პიროვნული ზრდის შესაძლებლობა, დამეხმარა უნარ-ჩვევების, კომპეტენციების განვითარებაში, ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში. მასწავლა, თუ როგორ უნდა გამოვიყენო საკუთარი შესაძლებლობები სწორად, ვისწავლო შეცდომებზე და ვაქციო წარუმატებლობა მოტივაციად“.

დიმა ქვარიანი, ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა
და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის (PITA) მონაწილე

„პროექტის ფარგლებში ბევრი საინტერესო ღონისძიება განვახორციელეთ. ვითანამშრომლეთ ორგანიზაციასთან „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ (MAC Georgia), რომელმაც მცირე პროექტი დაგვიფინანსა და საშუალება მოგვცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სკოლაში მოგვეწყო პანდუსი და რესურს ოთახი, განგვეხორციელებინა მრავალფეროვანი ღონისძიებები და აქტივობები საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიასთან და ადგილობრივ ბიზნეს კომპანიასთან თანამშრომლობით. გრანტის ფარგლებში, ასევე, შევიძინეთ რბილი ავეჯი, ტექნიკა და განმავითარებლები რესურს ოთახის მოსაწყობად, სადაც სკოლაში მყოფ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს შეუძლიათ შეასრულონ დავალებები, თავი კომფორტულად იგრძნონ ადაპტირებულ გარემოში და ისწავლონ ხალისით“.

თეონა ენუქიძე, მერჯევის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ „ლოტუსის“
ლიდერი, პროექტის „მომავლის თაობა" მონაწილე



10-მა მშობელმა და **15**-მა სპეციალისტმა, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა დღის რუტინის დაგეგმვისა და ქცევის მართვის უნარები, მიიღო მსხვილი და წვრილი მოტორიკის განვითარების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვის შესახებ სათანადო ცოდნა ი. ციციშვილის ბავშვთა ფსიქოლოგიურ სამსახურთან წარმატებული თანამშრომლობის შედეგად

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და პირთა სრულფასოვანი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის უმნიშვნელოვანესია ხარისხიანი სოციალური სერვისების უზრუნველყოფა, რასაც განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის მიერ ადმინისტრირებული დღის ცენტრები ემსახურება. მსურს ამისთვის მადლობა გადავუხადო EDEC-ს. ჩვენ აქტიურად გავაგრძელებთ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებისთვის.“

თამილა ბარკალაია, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

71-მა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა ისარგებლა დღის ცენტრის მომსახურებით

პროგრამის მიზნები:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და პირების საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის და პირებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისების მიწოდება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და პირების ოჯახების გაძლიერება.

193 ბენეფიციარი

2020-2021 წლების განმავლობაში

71-მა
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა ისარგებლა დღის ცენტრების მომსახურებით

16-მა
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა ისარგებლა დღის ცენტრების მომსახურებით

11
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 6–დან 14 წლამდე ბავშვისთვის წარმატებით განხორციელდა დღის ცენტრებიდან სკოლებში ტრანზიციის პროცესი. ბავშვები სრულფასოვნად ჩაერთნენ ინკლუზიურ განათლებაში.

2
პირი ჩაერთო პროფესიული განათლების პროგრამაში და ეუფლება თმის სტილისტის პროფესიას, ინდივიდუალური უნარების და ინტერესების გათვალისწინებით

4
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) სტუდენტი ჩაერთო სპეციალური პედაგოგის და ფსიქოლოგის სტაჟირების 200 საათიან პროგრამაში და დაეუფლა პრაქტიკული მუშაობის უნარებს

82
ღონისძიება მოეწყო ფუნქციური, აკადემიური, სოციალური, საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარების განვითარებისთვის, რომლის ფარგლებშიც სერვისით მოსარგებლეებმა მონაწილეობა მიიღეს გამოფენებში, მოინახულეს ისტორიული და კულტურული ძეგლები, განახორციელეს ვიზიტები კინო-თეატრებსა და მუზეუმებში, ადგილობრივი თემის ნარმომადგენლებთან ერთად დაგეგმეს და მოაწყვეს სპორტული და გასართობი ღონისძიებები.

7
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდს საჩუქრად გადაეცა ლეპტოპები, ერთნლიანი ინტერნეტმომსახურების პაკეტით პროექტ „ჩართე“-სთან თანამშრომლობით

4
საზოგადოებრივი კოლეჯები და უნივერსიტეტები:
- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
- კოლეჯი იბერია

4
საერთაშორისო ორგანიზაცია:
- ქალთა საერთაშორისო ასოციაცია „საქართველო“
- იაპონიის საელჩო
- მაკლეინის ასოციაცია
- „რენოვაბის“ (გერმანიის კათოლიკეთა სოლიდარობის ინიციატივა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში)

6
ბიზნესკომპანიები:
- ი. ციციშვილის ბავშვთა ფსიქოლოგიური სამსახური
- ლიბერთი ბანკი
- სააფთიაქო ქსელი „PSP”
- „ავერსის“ საქველმოქმედო ფონდი
- კომპანია „ზედაზენი“
- კომპანია „ბარამბო“

2
ადგილობრივი ორგანიზაციები:
- „ჩართე“
- მშობლები საქართველოს მომავლისათვის

6
სახელმწიფო ინსტიტუტები:
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია
- მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტში – ქუთაისში, სამტრედიაში, თერჯოლასა და საგურამოში ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და პირთა დღის ცენტრების მომსახურება, რომლებიც დაინტერესებულ პირებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებულ აბილიტაცია-რეაბილიტაციის სერვისებს სთავაზობენ.

გამოწვევები და საპასუხო ქმედებები

2020-2021 წლებში განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და პირთათვის დანერგა და განავითარა თერაპიული სერვისები, როგორც ონლაინ, ასევე კონტაქტური ფორმით და განახორციელა აქტივობები, რომლებიც ემსახურებოდა:

- უფლებებზე დაფუძნებული სოციალური სერვისების მიწოდებას;
- ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას, განვითარებას და შენარჩუნებას;
- ინკლუზიურ სასკოლო და პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და პირების ოჯახების გაძლიერებას და მათ აღჭურვას საჭირო ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით.

პროექტი: „სენსორული თერაპიის დანერგვა საგურამოს, სამეგრელოსა და ქუთაისის დღის ცენტრებში“

2020-2021 წლებში საგურამოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და პირთა დღის ცენტრში „იალონი“, სამტრედიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრში „ლამპარი“ და ქუთაისის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრში „ჯადოსნური სამყარო“ მოეწყო სენსორული ოთახები და დაინერგა სენსორული ინტეგრაციის თერაპია, რომელიც გამოიყენება სენსორული გადამუშავების სირთულეების მქონე ბავშვებთან და პირებთან და ეხმარება მათ სხვადასხვა სენსორული არხიდან მიღებული სტიმულების გადამუშავებაში, რათა ჰქონდეს ადექვატური რეაქცია/ადაპტური პასუხი ბუნებრივ გარემოში მიღებულ ყოველდღიურ სტიმულებზე.

მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და პირების შემეცნებითი, შემოქმედებითი, ფიზიკური, სოციალური, ფუნქციური და ემოციური უნარების განვითარება, მათი განმუხტვა, სტრესის და დაძაბულობის შემსუბუქება, ემოციური და მენტალური ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში:

- თითოეულ ცენტრში გამოიყო სივრცე, რომელსაც ჩაუტარდა რეაბილიტაცია და მოეწყო მრავალფუნქციური, ყველა შეგრძნებაზე სამუშაოდ განკუთვნილი შესაბამისი გარემო
- შეძენილ იქნა სენსორული ოთახის მოწყობისთვის საჭირო ინვენტარი, სენსორული ოთახები აღიჭურვა სპეციალური განმავითარებელი საშუალებებით, სხვადასხვა ვიზუალური და აუდიო ინვენტარით და სათამაშოებით
- თემაზე „სენსორული ინტეგრაციის ელემენტები და სენსორული სტიმულაცია“ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი გაიარა 15-მა სპეციალისტმა ორგანიზაცია „მაკლეინის ასოციაციასთან“ თანამშრომლობით
- ცენტრებში დაინერგა ბავშვის და პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, თამაშზე დაფუძნებული, ასაკისა და განვითარების შესაბამისი თერაპიული სერვისები
- საგურამოსა და სამტრედიის დღის ცენტრებში სენსორული ინტეგრაციის თერაპიის ოთახები მოეწყო „ქალთა საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო ქუთაისის დღის ცენტრში სენსორული ინტეგრაციის თერაპიის ოთახის მოწყობა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

„არ მიყვარს შაბათ-კვირა, მხოლოდ იმიტომ, რომ ცენტრი ამ დღეებში ისვენებს...
ყველა დღე სიხარულით მითენდება როცა ვიცი, რომ ცენტრში უნდა წავიდე.
აქ მართლაც ჯადოსნური სამყაროა, მასწავლებლები ზრუნავენ ჩვენზე, რომ ბევრი რამე ვისწავლოთ, ყველა ბავშვია ჩართული ყოველდღიურ მუშაობაში.
აქ საუკეთესო მეგობრები შევიძინე, ბევრმა დაასრულა უკვე და წავიდა, ბევრიც ახალია.
მეც მალე შემისრულდება 18 წელი, მაგრამ აქ გატარებული დღეები სულ მემახსოვრება და რაც ვისწავლე, ყველგან გამოვიყენებ, რომ ჩემი მასწავლებლები ვასახელო“.

საბა ბენიძე, ქუთაისის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრის „ჯადოსნური სამყარო“ სერვისით მოსარგებლე

„მიუხედავად იმისა, რომ დაჩი ბავშვობიდანაა ჩართული სხვადასხვა თერაპიებში და რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამებში და მეც ბევრს ვმუშაობ ჩემს შვილთან, დღის ცენტრის მომსახურებაში ჩართვის შემდეგ ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა.
ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად დაჩისთვის მის თანატოლებთან კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება, სხვადასხვა ბარიერების შიშის დაძლევა და ნივთების დანიშნულებისამებრ გამოყენების უნარების განვითარება მიმაჩნია.
გარდა ამისა, მას გამოუმუშავდა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარები, როგორიცაა თვითმოვლა, კოვზით კვება, ფანქრის ხელში დაკავება...
ჩემს შვილს ყოველ დილით უხარია ცენტრში მისვლა, რადგან იქ მისთვის საინტერესო გარემო, საყვარელი პედაგოგები და მეგობრები ხვდებიან“.

სოფიკო სტურუა-ჯიშკარიანი, სამტრედიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრის „ლამპარი" მშობელი

პროექტი: „საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და პირთა ოთხი დღის ცენტრის ხელახალი გახსნა კორონავირუსთან დაკავშირებული სავალდებულო დახურვის შემდეგ“ (2020–2021)

Renovabis

მიზანი:
2020 წლის სექტემბრიდან საქართველოს რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოთხი დღის ცენტრის გახსნა და პანდემიამდე არსებული ყველა სერვისის უსაფრთხო გაგრძელება

დღის ცენტრებში, COVID-19–ის პანდემიის პირობებში, სერვისების უსაფრთხო გარემოში მიწოდება, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების შესაბამისად, ორგანიზაცია „რენოვაბის“ (გერმანიის კათოლიკეთა სოლიდარობის ინიციატივა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში) მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში გახდა შესაძლებელი. ორგანიზაციამ სრულად უზრუნველყო ოთხივე ცენტრი რეგულაციების დაცვისთვის საჭირო რესურსებით.

პროექტის ფარგლებში:

- 74-მა ბავშვმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა ისარგებლა უსაფრთხო გარემოს სერვისით;
- ოთხივე დღის ცენტრში განხორციელდა ცნობიერების ამაღლების აქტივობები კოვიდ 19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის შესაბამისად;
- დღის ცენტრებმა გააგრძელეს ეფექტიანი მუშაობა პროექტის დასრულების შემდეგ.

მარიკას ამბავი „იალონიდან“ იწყება...

თუ ერთხელ მაინც ყოფილხართ „იალონში“, აუცილებლად დაგამახსოვრდებოდათ პოზიტიური, ხმაურიანი და მხიარული მარიკა.
მარიკასა და „იალონის“ მეგობრობა დღის ცენტრის გახსნის პირველივე დღიდან იწყება. „იალონი“ აღმოჩნდა სივრცე, სადაც მარიკამ შეძლო ყველა თავისი ინტერესის და შესაძლებლობის გამომჟღავნება და განვითარება, რომლის საშუალებითაც მან საკუთარი თავი იპოვა.

მარიკასთან სოციალური უნარების გაუმჯობესების და დასაქმების მიმართულებით დაწყებულმა მუშაობამ, მას მისცა საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების დაძლევის და შრომის ღია ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობა.

დღეს ის წეროვანში სილამაზის სალონშია დასაქმებული და სალონში მისულ მომხმარებელს ახლა უკვე თავდაჯერებული და ენერგიული მარიკა ეგებება.

„სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება ისეთი მნიშვნელოვანი ცნებაა, რომ კონსტიტუციით გვაქვს დაცული. EDEC-ის დებატების სკოლა სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებას შესაძლებლობად აქცევს, რადგან ერთია რაღაცის უფლება ან თავისუფლება და მეორეა, როგორ იყენებ მას. ვფიქრობ, დებატების სკოლა სიტყვების გამოყენების, მსჯელობის და არგუმენტირების სწავლებით ახალგაზრდებს საკუთარი უფლებების და თავისუფლებების რეალიზაციაში ეხმარება.“

ქრისტინე მაღლაკელიძე, განათლების და ბიზნესის აქტივისტი

48

მოზარდმა დაასრულა საჯარო გამოსვლების და დებატების სკოლა

პროგრამის მიზნები:

- ადგილობრივი შრომის ღია ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ფორმალური, არაფორმალური, პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობით;
- საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული საჭიროებების გამოვლენა და „საგანმანათლებლო ჩიხების“ აღმოფხვრა.

ბენეფიციარები

48
მოზარდმა (VII-XI კლასის მოსწავლე) გაიარა საჯარო გამოსვლების და დებატების 64-საათიანი სასწავლო პროგრამა და დაეუფლა დებატების ხელოვნებას;

3
პროფესიული საწავლებელი: კონსტრუქტ2, ახალი ტალღა და ბლექსი ჩართულია საბინაო სექტორში ახალი პროფესიული განათლების პროგრამების დანერგვისა და განხორციელების პროცესში;

5
5-კრედიტიანი არჩევითი კურსი „სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები“ შეიქმნა, რომელიც განხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსისტეტის ბაზაზე.

ქართულ შრომის ბაზარზე, გერმანულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, დანერგილია შენობა-ნაგებობის ტექნიკური მენეჯერის პროფესია. საბინაო სექტორში ახალი პროფესიების განვითარება არსებული გამოწვევების საპასუხოდ ტექნიკური მომსახურების სფეროში ახალი სერვისების განვითარებას ემსახურება

„საჯარო გამოსვლებისა და დებატების სკოლა“ ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს დაეუფლონ დებატების ხელოვნებას, არგუმენტირებულ მსჯელობას, კამათის კულტურას, კვლევის, განსხვავებული აზრის პატივისცემის და საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის უნარებს

გამოწვევები და საპასუხო ქმედებები

2020-2021 წლებში განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრმა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აქტიური თანამშრომლობით ხელი შეუწყო ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და დანერგვას, არაფორმალური განათლების სივრცეების შექმნას, რომლებიც ემსახურება:

- სკოლებში, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხო პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავებას;
- ახალგაზრდებში შემოქმედებითი, კრიტიკული და თავისუფალი აზროვნების განვითარებას.

ევროკავშირი
საქართველოსთვის

პროექტი: „ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად - CISI“ (2019-2021)

მიზანი:
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სკოლებში ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესების გზით.

პროექტი ემსახურება:

- **ახალი აკადემიური კურსების/მოდულების განვითარებას CISI-ის** პარტნიორ უნივერსიტეტებში, კერძოდ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში; აღნიშნული აკადემიური კურსების/მოდულების განვითარებას მხარს უჭერენ ევროპის უნივერსიტეტები: Transilvania University of Brașov UTBv, Univerzita Palackeho v Olomouc (PUO), University of Warsaw, UW, Philipps-Universität Marburg, UMR, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები: განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი „მარიანი“ და მოძრაობა „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“.

- **ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ქსელის ჩამოყალიბება სკოლების, უნივერსიტეტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების ჩართულობით.**

პროექტის ფარგლებში, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის მონაწილეობით მომზადდა 5-კრედიტიანი არჩევითი კურსი „სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები“. სასწავლო კურსი ხელმისაწვდომი იქნება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსისტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

სასწავლო კურსის შინაარსის განხილვისა და პროფესიული საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით, გაიმართა ონლაინ და პირისპირ შეხვედრები სკოლების, პროფესიული სასწავლებლების, უნივერსიტეტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების 140 წარმომადგენელთან.

პროექტი: „ჩემი სახლის მმართველი – პერსპექტივების გაზიარება“ (2020-2021). „ჩემი სახლის მმართველი – შესაძლებლობები ნდობის მშენებლობისთვის“ (2021-2022)

მიზანი:
საბინაო სექტორში ახალი, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული პროგრამის შემუშავება და განხორციელება პროფესიულ კოლეჯებთან და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით

გერმანელი ექსპერტების დახმარებით დეველოპერულ კომპანიასთან სს „საქართველოს უძრავი ქონება“ მჭიდრო თანამშრომლობით, შეიქმნა შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და მართვის სამუშაოების სპეციალისტის მომზადების პროგრამა;

პროგრამა პროფესიული კოლეჯის, კონსტრუქტ2-ის ბაზაზე განხორციელდება. პროექტის წარმატებული გამოცდილება და ახლად შექმნილი სასწავლო კურსის შინაარსი გაზიარებულ იქნა აჭარის რეგიონში მოქმედ პროფესიულ სასწავლებლებთან „ახალი ტალღა“ და „ბლექსი“, აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოსა და ადგილობრივ ბაზარზე მომუშავე დეველოპერ და სამშენებლო კომპანიებთან.

„რეგიონში, სამშენებლო მასშტაბებისა და არსებული საცხოვრებელი კორპუსების საექსპლუატაციო პერიოდის გათვალისწინებით, იკვეთება, ერთის მხრივ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ფართის ფლობისა და ექსპლუატაციის კუთხით ცნობიერების ამაღლების, ხოლო მეორეს მხრივ, ისეთი სპეციალისტების არსებობის საჭიროება, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან უძრავი ქონების სწორი მართვის საჭირო უნარ-ჩვევებით.

უძრავი ქონების ტექნიკური სპეციალისტის (ჰაუზმასტერის) პროფესიული მიმართულების განვითარება ხელს შეუწყობს უსაფრთხო საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შექმნას, შენობა ნაგებობის მართებული მოვლა-პატრონობის დანერგვით საექსპლუატაციო პერიოდის გახანგრძლივებას, საკუთრებისა და თანასაკუთრების განცდისა და მათზე ზრუნვის კულტურის ჩამოყალიბებას“. —თეიმურაზ კახიძე, აჭარის დასაქმების სააგენტოს დირექტორი.

საჯარო გამოსვლებისა და დებატების სკოლა (2017-2021).

მიზანი:
საჯარო გამოსვლებისა და დებატების სკოლა ხელს უწყობს ახალგაზრდებში კრიტიკული, კრეატიული, ანალიტიკური და სწრაფი აზროვნების უნარის განვითარებას, საჯარო გამოსვლების ტექნიკების, მათ შორის ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების გამომუშავებას.

საჯარო გამოსვლებისა და დებატების სკოლა 2017 წლიდან ფუნქციონირებს. სკოლის კურსდამთავრებულთა რაოდენობა დღეისათვის 181-ს შეადგენს. აქედან 48 კურსდამთავრებული 2020-2021 წლების პროგრამის მონაწილეა.
საჯარო გამოსვლებისა და დებატების სკოლის საშუალებით, მოსწავლეები კომუნიკაციის, პრეზენტაციის და ჯანსაღი დისკუსიის წარმართვის შესახებ ცოდნას ეუფლებიან და სათანადო პრაქტიკულ უნარებს გამოიმუშავებენ.
სკოლის საქმიანობების ფარგლებში ჩატარდა კონკურსები: „ჩემი ერთი წუთი“ და „ორატორი“. მოეწყო იმიტირებული სასამართლო პროცესი, დებატების ტურნირი.

ყველაზე საინტერესო სადებატო თემა ჩემთვის არის...

„მასმედიის ცენზურა" – ეს თემა აქტუალობას არასდროს დაკარგავს და ამიტომაა ჩემთვის ყველაზე საინტერესო. გარდა ამისა, მოდებატეებს მოგვიწია ყველაზე დიდი შრომის გაწევა ინფორმაციის მოსაკვლევად. მოვიძიეთ მრავალი წყარო, დავწერეთ კარგი არგუმენტები და კონტრარგუმენტები და საბოლოო ჯამში საუკეთესო დებატები შედგა".

ნიკოლოზ კეთილაძე

„კონსპირაციული თეორიები“ – მართალია თეორიაა, მაგრამ ძალიან საინტერესოა. მაგალითად, არის ასეთი თეორია, რომ 2012 წელს აპოკალიფსი მოხდა ისე, რომ ვერც გავიგეთ და დღეს სხვა რეალობაში ვცხოვრობთ".

ლევან აგაბაშვილი

„საზღვარგარეთ სწავლა“ – ყველა სადებატო თემა მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო, თუმცა ეს თემა მაინც გამორჩეულად დამამახსოვრდა. ამ თემაზე ბევრ ჭრილში შეგიძლია ისაუბრო და სხვა ბევრ თემას დაუკავშირო. ამასთანავე, ორივე მხარეს შეუძლია არგუმენტირებულად ძლიერი პოზიცია დაიკავოს".

საბა გოჩელაშვილი

„ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა“ – ეს სადებატო თემა მომეწონა, რადგან ძალიან ფართო საკითხებია და ვფიქრობ, ამ თემაზე კარგად შეიძლება იდებატოს ორივე მხარემ. ნამდვილად საინტერესო დებატების თემებად მიმაჩნია ეს ორი საკითხი"

თათა ჯაყელი

ყველაზე საინტერესო სადებატო თემა ჩემთვის არის...

„გენდერული თანასწორობა“ – ის თემაა, რომელზეც დაუსრულებლად შემიძლია ვიმსჯელო, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სტერეოტიპული დამოკიდებულება ორივე სქესის მიმართ, ძალადობა, დისკრიმინაცია. ზოგჯერ თანაბარკონკურენტიანი გარემოს არარსებობა კაცებსა და ქალებს შორის, ფიზიკური შესაძლებლობების დაკნინება ქალებთან მიმართებაში, ქალებსა და კაცებზე გათვლილი პროფესიები და სხვა".

ანა ჩაკვეტაძე

„გარემოს დაცვა და ეკონომიკა“ – ძალიან მომეწონა ეს თემა, ალბათ იმიტომ, რომ საკმაოდ აქტუალური თემაა ჩვენს დროში. უმნიშვნელოვანესი საკითხებია ადამიანისთვის და არა მარტო".

ქეთი მაჩიტიძე

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ – ისეთი თემაა, რომელიც მუდამ აქტუალური იქნება. სახელმწიფოების ლიდერებსაც განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ ან აქვთ ამ საკითხის მიმართ. კანონიც კი განსხვავებულია სხვადასხვა სახელმწიფოში. ალბათ, ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომელზეც ერთი შეხედულება ვერ იარსებებს და ამიტომ უფრო საინტერესო ხდება დებტების პროცესი".

დავით გელაშვილი

„ევთანაზია“ – სულ მაინტერესებდა ეს თემა და დებატების დროს ძალიან ბევრი რამ გავიგე ამ საკითხზე. ამიტომ ჩემთვის იყო ყველაზე დასამახსოვრებელი და საინტერესო".

ლიკა ქობულია